

PGG III: თანასწორობის და დისკრიმინაციასთან ბრძოლის ხელშეწყობა: მეტად მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისკენ სვლა

განხორციელების ვადა: 01.03.2023 - 26.02.2026

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის € 388 600

წვლილი:

მთლიანი € 500 000

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Council of Europe



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/partnershipgovernance,

https://twitter.com/CoE_EU_PGG

პროექტის partnership-governance-eu.coe.int/

ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

რეგიონული პროექტი მიზნად ისახავს თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციის სფეროში ინსტიტუციებთან დამყარებული პარტნიორობის კონსოლიდაციას, ასევე მიმდინარე პროცესებისა და საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოების ევროპულ სტანდარტებთან პარმონიზაციას.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში. იგი ეფუძნება აღნიშნული პროგრამის წინა ფაზების შედეგებს თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციის ხელშეწყობის სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

მოსალოდნელი შედეგები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დისკრიმინაციის, სიძულვილის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესება ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილების მიმღები პირების, მაგისტრატების და სამართალდამცავი ორგანოების ცოდნისა და უნარების გაძლიერება სიძულვილის და მასთან დაკავშირებული მიკერძოების მოტივების შესახებ მონაცემთა შეგროვების საკითხში.
3. მთავრობების, თანასწორობის ორგანოებისა და პოლიციის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება მრავალფეროვან საზოგადოებაში უკეთ მუშაობისა და რასიზმსა და შეუწყნარებლობაზე რეაგირების უზრუნველსაყოფად, ევროპული სტანდარტების შესაბამისად.
4. არასახელმწიფო პარტნიორების ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და საზოგადოებებზე სიძულვილის მავნე ზემოქმედების შესახებ.